

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



თეონა ფოლადაშვილი

შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზის ძირითადი საკითხები
სს „თელასის“ მაგალითზე

ბიზნესის სამაგისტრო პროგრამა

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანა სრესელი
ოსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის მთავარ საკვლევ ობიექტს წარმოადგენს შემოსავლებისა და დანახარჯების მნიშვნელობა საწარმოს ფინანსური შედეგების შეფასებისთვის, მათი აღიარება, შეფასებასთან დაკავშირებით რამდენად არის დაცული არსებული სტანდარტები. კვლევა წარმოდგენილია სს „თელასის“ მაგალითზე, გამოყენებულია მისი ფინანსური ანგარიშგების ელემენტები.

პირველ თავში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები: შემოსავლების არსი, მისი მნიშვნელობა საწარმოს საქმიანობის შეფასებისთვის, კლასიფიკაცია, შემოსავლების აღიარების ეტაპები, შეფასების კრიტერიუმები, განხილულია საანალიზო საწარმოს შემოსავლების ფორმირება, სტრუქტურა და დინამიკა, გამოთვლილია გადახრები რაოდენობრივად და პროცენტული მაჩვენებლებით და გაანალიზებულია მათზე მოქმედი ფაქტორები.

მეორე თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია: დანახარჯების არსი, მათი კლასიფიკაცია დანახარჯთა ქცევა, ჩატარებულია დანახარჯების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი, შემოსავლების, დანახარჯებისა და მოგების დამოკიდებულების ანალიზი და გაკოტრების საფრთხეები. შესწავლილია შემოსავლებისა და დანახარჯების მოცულობის გავლენა მოგების ფორმირებაზე, ჩატარებულია მოგების დამოკიდებულების ანალიზი, გამოვლენილია გაკოტრების კოეფიციენტი და ჩამოყალიბებულია მისი გამომწვევი მიზეზები.

დასკვნაში წარმოდგენილია საანალიზო საწარმოს ფინანსურ შედეგებზე მოქმედი ფაქტორების შეფასება, ახსნილია ფინანსური ანგარიშგების ელემენტების გარკვეული მუხლების მოცულობის ცვლილებების გამომწვევი მიზეზები. ასევე შეფასებულია გაკოტრების საფრთხეები, გამოვლენილი შედეგების მიხედვით გაცემულია რეკომენდაციები.

Annotation

The main object of study of the master's thesis is the importance of income and expenses for the assessment of the financial results of the enterprise, their recognition, the extent to which the existing standards are met. The study is presented on the example of JSC "Telasi", its financial reporting elements are used.

The first chapter discusses the following key issues: the essence of revenue, its importance for evaluating the performance of the enterprise, classification, stages of revenue recognition, evaluation criteria, discusses the revenue formation, structure and dynamics of the enterprise, calculates deviations in quantitative and percentage indicators and analyzes the factors affecting them.

In the second chapter the following key issues: the essence of costs, their classification of cost behavior, a structural and dynamic analysis of costs, an analysis of the relationship between income, costs and profits, and the risks of bankruptcy. The impact of revenue and expenditure on profit formation has been studied, profit dependency analysis has been conducted, bankruptcy ratio has been identified and its causes have been identified.

The report presents an assessment of the factors affecting the financial results of the analytical enterprise, explains the reasons for the changes in the volume of certain items in the elements of financial reporting. Bankruptcy risks are also assessed, recommendations are issued based on the identified results.

შინაარსი

ანოტაცია.....	1
Annotation.....	2
შესავალი.....	4
თავი 1. სს „თელასის“ შემოსავლების ანალიზის ძირითადი საკითხები.....	6
1.1 შემოსავლების არსი, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება.....	6
1.2 შემოსავლების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი.....	16
თავი 2. სს „თელასის“ დანახარჯების ანალიზის ძირითადი საკითხები.....	26
2.1 დანახარჯების არსი, კლასიფიკაცია და დანახარჯების ქცევა	26
2.2 დანახარჯების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი.....	32
2.3 შემოსავლების, დანახარჯებისა და მოგების დამოკიდებულების ანალიზი და გაკოტრების საფრთხეები.....	40
დასკვნა.....	49
გამოყენებული ლიტერატურა.....	52
დანართი.....	53

შესავალი

თემის აქტუალობა. საწარმოს საქმიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ რამდენად რეალურ ინფორმაციას ეყრდნობა, აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით დაცულია თუ არა არსებული სტანდარტები. საწარმოს საქმიანობის შეფასებას ვახდენთ მისი მოგებისა და დანახარჯების მოცულობის შეპირისპირებით, ინფორმაცია წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, რომელის ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს.

საგადასახადო კანონმდებლობაც გადასახადის გადამხდელს კონკრეტული ვალდებულებების შესრულებას აკისრებს. საკანონმდებლო აქტი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, გადამხდელიც ვალდებულია ცვლილებებიდან გამომდინარე სრულად აღრიცხოს ყველა სამეურნეო ოპერაცია.

საწარმოსთვის შემოსავლების წარმოქმნის თითოეული კომპონენტი მნიშვნელოვანია, ამიტომ ნაშრომში განხილულია საანალიზო საწარმოს შემოსავლების წარმოქმნის მაჩვენებლები, გამოთვლილია გადახრები და გაანალიზებულია მათზე მოქმედი ფაქტორები.

დანახარჯების ელემენტების ანალიზი საწარმოზე დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გამოვლენაში გვეხმარება, ამიტომ საანალიზო საწარმოზე დანახარჯთა მაჩვენებლებია განხილული და გაანალიზებულია სხვაობების გამომწვევი ფაქტორები.

ნებისმიერი საწარმოს ფუნქციონირების მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური ფინანსური შედეგების მიღება, მფლობელების კეთილდღეობის ამაღლება და მთლიანად საზოგადოების კმაყოფილების მოპოვება, ამ ყველაფრის მიღწევა კი შესაძლებელია მაშინ, როცა საწარმოს ფინანსური შედეგები დადებითია, ხდება მოგების მაქსიმალიზაცია

მინიმალური დანახარჯებით. მოგების განმსაზღვრელია ორი ელემენტი: შემოსავლები და დანახარჯები. საწარმოსთვის ამ ელემენტების განსაზღვრა, გეგმა მოსალოდნელი შედეგებისა და დანახარჯების გაანგარიშება გავლენას ახდენს სწორედ მოგების ფორმირებაზე. მნიშვნელოვანია ამ ორი ელემენტის განსაზღვრა, შეფასება და აღიარება შესაბამისი სტანდარტების დაცვით ფინანსურ ანგარიშგებაში. მათი სწორი და ზუსტი აღიარება ერთ-ერთი წინაპირობაა მოგების სწორად გაანგარიშებაში. შემოსავლებისა და დანახარჯების სწორი მართვა მნიშვნელოვანია დივიდენდების განაწილებისას, ასევე საწარმოში რეინვესტირების განხორციელების დროს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი, ცვლილებების გამოვლენა და მასზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება. საწარმოს პერიოდის განმავლობაში ფინანსური აქტიურობის მახასიათებლების შეფასება.

კვლევის ამოცანები. საანალიზაციო საწარმოს შემოსავლებისა და დანახარჯების სტრუქტურულად ფორმირება, მათი როლი მოგების განსაზღვრაში, ანგარიშგებაში განხილული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ანალიზი და სამომავლო პროგნოზირების გაკეთება. შემოსავლების და ხარჯების არსი, აღიარება შეფასების შესწავლა. გამოვლენა ამ საანალიზო საწარმოს თვისებურებების, ხარვეზების გამოსწორების გზების მოძიება.

ნაშრომის კვლევის საგანი. ფინანსური ანგარიშგებების ელემენტების, მოგება-ზარალის ანგარიშგების გაანალიზება, საწარმოს შემოსულობებისა და დანახარჯების წარმოქმნის წყაროების, ელემენტებს შორის ურთიერთკავშირის განხილვა და მათზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი.

კვლევის ობიექტია სააქციო საზოგადოება „თელასი“ მისი შემოსავლებისა და დანახარჯების წყაროები, მათზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი, ინფორმაციისთვის და ანალიზის გასაკეთებლად გამოყენებულია აღნიშნული საწარმოს 2017-2018 წლების გაკეთებული ფინანსური ანგარიშგება.

თავი 1. სს „თელასის“ შემოსავლების ანალიზის ძირითადი საკითხები

1.1 შემოსავლების არსი, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება

ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად როგორც საწარმოს შიდა ხელმძღვანელობას, ასევე გარე მომხმარებლებს უნდა გააჩნდეთ ობიექტური, რეალური და დროული ინფორმაცია, რაც კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საიმედოობას განაპირობებს. შემოსავლები და ხარჯები ასახულია საწარმოს „მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის“ ანგარიშგებაში, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთ ელემენტს. შემოსავლები და ხარჯები მოგების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, განსაზღვარავენ კომპანიის სიცოცხლისუნარიანობას და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მთლიანად საწარმოს ფუნქციონირებაზე.

შემოსავალი არის საწარმოს ეკონომიკური ზრდა კონკრეტული საანგარიშგებო პერიოდში. შემოსავალის წარმოქმნით საწარმოში აქტივები იზრდება ან ვალდებულებები მცირდება. შესაბამისად, შემოსავლი იწვევს საკუთარი კაპიტალის გაზრდას, ამასთან არ ხდება საკუთარ კაპიტალში დამატებითი ინვესტიციები მესაკუთრეების მხრიდან.

საწარმო თავის საკუთრებაში არსებული ფულადი საშუალებების გამოყენებისას იღებს შემოსავალს, კაპიტალის ყოველ ას ერთეულზე საპროცენტო შემოსავალის სახით.

საწარმოს როიალტით შემოსავალის მიღების უფლება უჩნდება, როდესაც ის გადასცემს გრძელვადიანი აქტივების გამოყენების უფლებას. მაგალითად პატენტები, ლიცენზიები, საავტორო უფლებები და სხვა მსგავსი არმატერიალური აქტივის გადაცემა.

გარდა საწარმოსი შემოსავალს იღებენ საწარმოს კაპიტალის მესაკუთრეებიც, ყველა სამეწარმეო სუბიექტის მესაკუთრეების მიზანიც სწორედ შემოსავლის მიღებაა, რომელსაც დივიდენდის სახით ინაწილებენ.

შემოსავლები იყოფა როგორც საოპერაციო შემოსავლად ასევე არასაოპერაციო შემოსავლად. საოპერაციო შემოსავალი ძირითადი ბიზნეს საქმიანობიდან წარმოიშვება, მაგალითად : როგორც არის გაყიდვები, არასაოპერაციო შემოსავალი ასევე შემოსავალია თუმცა მისი გამომუშავება არ ხდება ძირითადი საქმიანობიდან, მაგალითად: საპროცენტო შემოსავლები. საქონლის (მომსახურების) გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები წარმოადგენს საოპერაციო შემოსავალს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საფუძვლად უდევს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი. აქედან გამომდინარე, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

პროცენტს და დივიდენდს აღიარებენ მათი ფაქტიური მიღების დროს.

აღრიცხვის საკასო მეთოდი გულისხმობს ხარჯების გაქვითვას განაღდების შემდეგ, ანუ ფაქტობრივად თანხის გაწევის მომენტი. ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას- ფულის გადახდის მომენტი, ხოლო უნაღდო წესით გადახდისას - ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელის საბანკო ან სხვა ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის მომენტი.

დარიცხვის მეთოდის დროს გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შემოსავლების მოპოვებისა და ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით. მიუხედავად იმისა შემოსავალი როდის იქნება მიღებული და ხარჯები ფაქტობრივად გაწეული. გადამხდელის მიერ შემოსავლების მიღების უფლება კი მოპოვებულად მაშინ ითვლება, თუ თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას და გადასახადის გადამხდელმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ნებისმიერი ბიზნესის მიზანია შემოსავლების ზრდა და საწარმოს მოგებაზე გასვლა, შესაბამისად, კომპანიები ყოველწლიურად აკეთებენ შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზს, საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვა და შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების ზოგადი მიზანია ორგანიზაციის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი სახსრების შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. შემოსავლების ანალიზს აკეთებენ მოგება-ზარალის ანგარიშგებით, რადგან ის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს. იგი ნათლად გვიჩვენებს შემოსავლების შემოდინების ნაკადებს სხვადასხვა საქმიანობებიდან. ანალიზი ნათელ სურათს გვიჩვენებს კომპანიის საქმიანობის შედეგს, სად უფრო მეტად ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, როგორც მთლიან სამეურნეო საქმიანობაში, ასევე კონკრეტული ტიპის საქმიანობიდან. რომელი საქმიანობები გახდეს პრიორიტეტული კომპანიისთვის და სამომავლოდ პროგნოზირების საშუალებას იძლევა. საწარმოები ამ მიზნის მისაღწევად ატარებენ ანალიზს, ეს შეიძლება იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი ელემენტების დინამიკური, სტრუქტურული და ფაქტორული ანალიზები.

შემოსავლის ანალიზის მეშვეობით მომხამრებელი იღებს ინფორმაციას კომპანიის მომგებიანობის შესახებ, სამომავლოდ არსებობს თუ არა შემოსავლების ზრდის შესაძლებლობა, მოგების ზრდის ტემპის გაზრდა, რის საფუძველზეც კეთდება სამომავლო პროგნოზირება. ანალიზის დროს უნდა შედარდეს რამდენად გაიზარდა წინა წელთან შედარებით მიღებული შემოსავალი და იყო თუ არა ეს მისი გაწეული ხარჯების შესაბამისი.

„შემოსავლების ანალიზი გვეხმარება რიგი საკითხების გადაწყვეტაში: საკრედიტო, საინვესტიციო, საგადასახადო, ყველა სუბიექსი დაინტერესებულია კომპანიაში არსებული მდგომარეობით, და შესაბამისად საზღვრავენ კომპანიასთან ურთიერთობის საკითხს. საგადასახადო კანონმდებლობა გადასახადის გადამხდელს ავალდებულებს სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები, და მიაკუთვნოს იმ საანგარიშგებო

პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და გაწევა. მანს სრულად უნდა აღრიცხოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია“.¹

საწარმო ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლის მიღებას ახდენეს საქონლის ან მომსახურების მიწოდებით მომხმარებლებზე. ჯერ უნდა განისაზღვროს აღიარდება თუ არა საწარმოსთვის ეს შემოსავლის წყაროდ და შემდგომ მოხდეს მისი შეფასება.

ფასს 15 -ამონაგები მომხმარებელთა გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ადგენს იმ პრინციპებს, რომელიც საწარმომ უნდა გამოიყენოს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების, ამონაგების სიდიდის განსაზღვრის, აღიარებისა და შეფასებისთვის. „მომხმარებელში მოიაზრება ხელშეკრულების ერთი მხარე რომელმაც უნდა მიიღო ხელშეკრულების საგანი, საქონელი თუ მომსახურება და აქვს ვალდებულება მეორე მხარეს ანაზღაურება გადაიხადოს, ის ვალდებულება შეასრულოს რაც წარმოექმნა მიღებული სარგებელის დროს. ხელშეკრულება იურიდიული ძალის შეთანხმებაა წერილობითი ფორმით, ან ზეპირსიტყვიერად, რომელიც იდება ორ ან მეტ მხარეებს შორის და თითოეულ მხარეს აქვს შესასრულებელი ვალდებულებები და ამასთან ერთად წარმოეშვება უფლებებიც. კონკრეტული საწარმო ირჩევს ხელშეკრულების ფორმას, ეს დამოკიდებულია მისი დადების საგანზე, რაზე ხდება შეთანხმება, რა პირობებით, საწარმოს საქმიანობის დარგებზე და სხვა მრავალი ფაქტორი, რომელზეც მხარეებს აკისრებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესასრულებელ ვალდებულებას და უფლებებს. დადებულ ხელშეკრულებას იურიდიული ძალა გააჩნია ვადის განმავლობაში და სწორედ მხარეებსაც მისი შესრულების გარკვეული პერიოდი გააჩნიათ, პერიოდის ცვლილება შესაძლებელია მოხდეს მხარეების შეთანხმებით, დასრულებით, როდესაც ორივე მხარემ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, შესასრულებელი საგნის არარსებობით გაკრვეული პირობების არსებობისას, როცა ხელშეკრულების საგანი ისპობა, ან სხვა მიზეზებით.“²

¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი მ 136.შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები

² ფასს 15 ამონაგები მომხმარებელთა გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

სტანდარტიც საწარმომ ძალაში შესული ხელშეკრულების მიმართ უნდა გამოიყენოს, როდესაც მხარეებს შორის წარმოშობილია ვალდებულებები და უფლებები. ხელშეკრულება შესრულებულად ჩაითვლება, როდესაც ერთი მხარე გადასცემს ხელშეკრულების საგანს, შეუსრულებს დაპირებულ მომსახურებას, ხოლო მეორე მხარე შეთანხმებულ ანაზღაურებას გადაუხდის მიმწოდებელს. ხელშეკრულება მაშინ არ იარსებებს თუ ერთ მხარეს ექნება ცალმხრივად შეწყვეტის უფლება, და არ აუნაზღაურებს მეორეს შეუსრულებელ ვალდებულებას, რომელიც მაშინ წარმოიშვა როცა ხელშეკრულება იდებოდა. ეს კრიტერიუმები უნდა იქნეს შესრულებული და დაცული რათა ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში გათვალისწინებული იყოს საბოლოოდ ხელშეკრულების შედეგები.

შემოსავლები შეიძლება მიღებული იქნეს საოპერაციო და არასაოპერაციო საქმიანობებიდან. შემოსავლები მოიცავს ამონაგებს ანუ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს და სხვა შემოსულობებს ანუ არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს. შემოსულობა სხვა მუხლებსაც გულისხმობს, რომელიც ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება. მაგალითად, ძირითადი აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი სარგებელი. შემოსავლების ცნება გულისხმობს არარეალიზებულ შემოსულობებს, როგორცაა გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების გაზრდა. ამონაგების კომპანია იღებს საქონლის რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან, შესაძლებელია მას გააჩნდეს აქტივები, რომელიც გადასცეს სხვა საწარმოს და ფულადი სახსრების გამომუშავება გამოიწვიოს, მაგალითად: პროცენტი, როიალტი, იჯარით მიღებული შემოსავლები. ეს ყველა საშუალება მიმართულია საწარმოში ეკონომიკური სარგებლიანობის გაზრდისთვის და, რომელსაც საწარმო აღიარებს ამონაგებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თუ ზემოთხსენებული კრიტერიუმები კმაყოფილდება და ხდება იდენტიფიცირება ამონაგების, მაშინ როდის უნდა იქნეს ის აღიარებული, რომელი პერიოდია მისთვის შესაბამისი. აღიარება ხდება მუხლობრივად ბალანსში და მოგება- ზარალის ანგარიშგებაში, თუკი ელემენტის განმარტება და აღიარების კრიტერიუმები კმაყოფილდება. მუხლობრივად ასახვის

შესაბამისი წყაროდან სიტყვიერ და თანხობრივად გამოსახვას ნიშნავს. აღიარება გადაწყვეტს ესა თუ ის აქტივი, ვალდებულება, შემოსვალი, ხარჯი უნდა აღიარდეს თუ არა, და რა რაოდენობით ბალანსში და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან წარმოიშობა მაშინ როდესაც საწარმო გაყიდის მატერიალური ფორმის მქონე ნივთს, ეს ნივთი საწარმომ შეიძლება თვითონ აწარმოოს და მერე გადაყიდოს მომხმარებელზე, ან მასაც ნაყიდი ქონდეს და შემდგომი რეალიზაციის მიზნით ხელმეორედ მოხდეს მისი გაყიდვა. გარკვეული პირობები თუ დადგება მხოლოდ მაშინ აღიარდება ამონაგებად საქონლის რეალიზაცია. მაგალითად: გამყიდველი გადასცემს საქონელს, ასევე ამ საქონელთან დაკავშირებულ სარგებელს, გადაცემულ საქონელზე გამყიდველი აღარ ინარჩუნებს მასზე კონტროლს, გამყიდველს შეუძლია ამონაგების საიმედოდ შეფასება და მოელის ეკონომიკურ ზრდას. როდესაც ამონაგები აღიარებულია მაგრამ მყიდველი მხარე მასზე დაკისრებულ ვალდებულებას არ ფარავს ანაზრაურების სახით, ამ ზარალის აღიარებაც მოხდება ხარჯად, და ამ შემთხვევაში ადრე აღიარებული ამონაგები არ დაკორექტირდება. სწორედ ამიტომ, სამართლებლივად ხელშეკრულება გვკარნახობს, როდის გადაეცა მომხმარებელს საქონელზე ყველა სარგებელი და რისკი, ხშირ შემთხვევაში იურიდიულად და რეალურად საქონლის გადაცემა არ ემთხვევა ერთმანეთს, ან რისკების გადაცემა არ ხდება სრულიად, საწარმომ შესაძლებელია დაიტოვოს საქონელზე კონტროლი სხვადასხვა ფორმით, ამ შემთხვევაში არ აღიარდება ამონაგებად.

„შემოსავლების აღიარების ხუთ ეტაპიანი მოდელი:

1. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო დანახარჯების (ვალდებულებების) განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

5. შემოსავლის აღიარება როდესაც (ან როგორც კი) საწარმო შეასრულებს მასზე დაკისრებულ გარიგების ვალდებულებას.³

საწარმომ შესაძლებელია საქონელი და მომსახურება გაყიდოს მის მიწოდებამდე და მიიღოს ფინანსური რესურსები, მაგრამ ეს ფაქტი არ აღიარდება შემოსავლად. გამომუშავებულად არ ჩაითვლება, ავანსის სახით მიღებული ფულადი სახსრები აღიარდება ვალდებულებად, სანამ არ შეასრულებს მიწოდებას. ვალდებულება შესრულდება, შემცირდება და შემოსავლად აღიარდება.

„აღირებისას უნდა კმაყოფილდებოდეს რამდენიმე კრიტერიუმი როდესაც:

- ხელშეკრულების მხარეებს შორის შედგა ხელსეკრულება და თითოეულმა მხარემ აიღო ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა
- საწარმოს შეუძლია თითოეული მხარის უფლების იდენტიფიკაცია
- გადახადის პირობების ინდენტიფიკაცია გადაცემულ საქონელზე და მომსახურებაზე.
- კომერციული ხასითი, რათა სამომავლოდ შეიცვალოს ფულადი ნაკადების სიდიდე,
- მოსალოდნელი თანხების მიღების შესაძლებლობა, რომლის უფლებაც საწარმოს აქვს, თუნდაც შემცირებული ხელშეკრულებასთან მიმართებით. შესაძლებელია ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, მაგრამ საწარმო მაინც აღიარებს ამონაგებად: როდესაც ხელშეკრულება ვადაზე ადრეა შეწყვეტილი და უკან ანაზღაურებული თანხები არ ექვემდებარება დაბრუნებას, საწარმოს არ რჩება მომხმარებლისთვის შეუსრულებელი ვალდებულებები, სრულად ან ნაწილობრივ მაინც მიღებული აქვს დაპირებული თანხები მომხმარებლისგან.“⁴

მომსახურების მიღებიდან შემოსავლები როცა უწყვეტი მომსახურებაა, ავანსად გადახდილი თანხები განხორციელებული მომსახურების პროპორციულად უნდა აღიარდეს.

³ ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

⁴ ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

საწარმო აფასებს ასევე მეორე მხარის უნარს, ვალდებულებების დადგომისას, რამდენად შეუძლია დაპირებული ანაზღაურების გადახდა. თუ მისი მხრიდან ცვალებადი ფასი იქნა შემოღებული მან შეიძლება ფასდათმობა შესთავაზოს მომხმარებელს.

საწარმომ ანაზღაურებას ვალდებულების სახით აღიარებს მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებს. ვალდებულების შეფასება კი ხდება მომხმარებლისაგან მიღებული ანაზღაურების ოდენობით.⁵ ამონაგების შეფასება ხდება იმ რელური ღირებულებით, რომელიც მიღებულია ან მისაღებია მომავალში.

როგორც კი შესრულდება შესასრულებელი ვალდებულება საწარმომ უნდა აღიაროს ამონაგებად ვალდებულების ის ნაწილი, რომელიც მიაკუთვნა შესასრულებელ ვალდებულებას. შესაძლებელია ანაზღაურება მოიცავდეს ფიქსირებულ თანხებს, ცვალებად თანხებს, ან ორივე მათგანს.

ხელშეკრულებაში განისაზღვრება გარიგების ფასი, ის ფასი რასაც საწარმო მოელის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. გარიგების ფასზე გავლენა შესაძლოა იქონიოს დაპირებული ანაზღაურების ვადებმა.


დაპირებული ანაზღაურება შეიძლება იმ შემთხვევაშიც იცვლებოდეს, როდესაც საწარმოს უფლება ანაზღაურების მიღებაზე დამოკიდებულია სამომავლო მოვლენის მოხდენაზე ან არ მოხდენაზე.⁶ ანაზღაურება იცვლება ფასდაკლებების, ფულადი სახსრების უკანდაბრუნების, ბონუსებისა და მსგავსი მუხლების დროს.

ცვალებადი ანაზღაურებება შესალებელია შეფასდეს ორი მეთოდი-მოსალოდნელი ოდენობა და ყველაზე მეტად მოსალოდნელი ოდენობა, იმისდა მიხედვით რომელი უფრო მეტად იძლევა სამომავლო პროგნოზირების გაკეთების საშუალებას ანაზღაურების

⁵ ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

⁶ ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

მოპოვებაზე. ხოლო, როდესაც საწარმო მომხმარებლისგან არაფულად ანაზღაურებას იღებს, ის უნდა შეფასდეს საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.⁷



„თავიდან საწარმო განსაზღვრავს მომხმარებელთა ხელშეკრულების არსებობას და შემდეგ აფასებს ფასს 15-ით შემდეგი კრიტერიუმებით:

- ხელშეკრულება მხარეების მიერ არის დამტკიცებული;
- ხდება უფლებების იდენტიფიკაცია თიოეული მხარის;
- პირობების ინდენტიფიკაცია მყიდველსა და გაყიდველს შორის;
- მოსალოდნელია რომ ანაზღაურების მიღება მოხდება, რადგან ხელშეკრულება ატარებს კომერციულ ხასიათს.“⁸

„საწარმომ უნდა აღიაროს ამონაგები როგორც კი მომხმარებელს გადასცემს დაპირებულ საქონელს ან შეუსრულებს მომსახურებას. აქტივი გადაცემულად მიიჩნება თუ მომხმარებელი მოიპოვებს მასზე კონტროლს. მოპოვების შემდეგ კი ის მისი მომხარებით სარგებელის მიღებას დაიწყებს. მიღებულ სარგებლად ითვლება: როდესაც აქტივს გამოიყენებს საქონლის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად, აქტივს გამოიყენებს სხვა აქტივის ღირებულების გაზრდისთვის , ვალდებულებების დასაფარად ან ხარჯების

⁷ ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

⁸ ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

შესამცირებლად, შეუძლია აქტივის გაცვლა და გაყიდვა, აქტივის გამოყენება სესხის უზრუნველყოფიდ სახით, აქტივის შენარჩუნება და განკარგვა.“⁹

საწარმომ შესამღებელია საქონელზე და მომსახურებაზე კონტროლი დროთა განმავლობაში გადასცეს, ანუ დროთა განმავლობაში ახდენს ვალდებულების შესრულებას და შესაბამისად, ამონაგებსაც ამ პერიოდში აღიარებს. თუკი ის დროთა განმავლობაში არ ასრულებს ვალდებულებას, მაშინ ის ვალდებულებას ასრულებს დროის გარკვეულ პერიოდში.

„ელექტროენერჯის გაყდვა განსხვავებულ საქონელს წარმოადგენს მაგრამ მომხმარებელს გადაეცემა იგივე სტრუქტურით როგორთაც ფასს 15. ელექტროენერჯის გაყიდვის ხელშეკრულებისათვის საწარმო თითოეულ ცალკე ხელშეკრულებაში საქონლის გადაცემას აღრიცხავს შესასრულებელი ერთი ვალდებულების სახით, რადგან იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა მომსახურებებს, რომლებიც თითქმის ერთნაირია და მომხმარებელს გადაეცემა იგივე სტრუქტურით (ელექტროენერჯია მომხმარებელს მიწოდება პერიოდის განმავლობაში- ყოველთვიურად) ხოლო შესრულების შეფასებისთვის იყენებს ერთ მეთოდს ელექტროენერჯის მიწოდების დროს გათვალისწინებით. საწარმო არ ახორციელებს გარიგების ფასის განაწილებას შესასრულებელ ვალდებულებებზე და არ განსაზღვრავს თითოეული საქონლის და მომსახურების ცალკეული გაყიდვის ფასს, რადგან თითოეული ხელშეკრულება მოიცავს ერთ შესასრულებელ ვალდებულებას. ამონაგების აღიარება წარმოებს კონტროლის გადაცემის დროს, დროის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში. მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების მაღალი ალბათობაა.“¹⁰

⁹ ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებზე, თან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

¹⁰ www.telasi.ge

1.2 შემოსავლების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი

საწარმოში გამომუშავებული შემოსავლები ქმნის მოგებას, რაოდენობრივად ის გამოსახება როგორც სხვაობა საანაგიშგებო პერიოდში შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. იგი შემოსავლის ნაწილია და ფორმირდება წარმოების პროცესში, როდესაც საწარმო მეტ პროდუქციას ყიდის, მით მეტს მოგებას ღებულობს და მისი მომგებიანობა იზრდება. ამ მიზნით საწარმოები ცდილობენ შეზღუდული რესურსები, როგორცაა ფინანსური, შრომითი, მატერიალური, ტექნიკური და სხვა გამოიყენონ რაციონალურად და გაზარდონ მომგებიანობა.

საწარმოებისთვის მნიშვნელოვანია ორი მაჩვენებლების შედარება, გეგმა, რომელშიც წინასწარ განსაზღვრულია ელემენტების მოცულობა, რასაც საწარმო მოელის. ეს საპროგნოზო ხასიათისაა და ფაქტობრივად შედეგს საანაგიშგებო პერიოდისთვის ღებულობს.

ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანებია, შემოსავლების ზრდის გზების დადგენა, მოგებაზე, მომგებიანობაზე ცვლილების ფაქტორების გამოვლენა, დანახარჯების მოცულობის განსაზღვრა.

საწარმოს საქმიანობისა და მისი ეფექტიანობის შესაფასებლად ხდება მოგება- ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს საწარმოში რამდენად ხდება შემოსავლების გაზრდა და დანახარჯების თანაფარდობით მოგების მიღება.

1995 წლის მაისში „თელასი“ დარეგისტრირდა სააქციო საზოგადოების სახით. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ენელექტრონერჯის შესყიდვა და გაანაწილება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო სექტორების მომხმარებლებზე თბილისში. კომპანია შედგება ერთი საოპერაციო სეგმენტისგან.

1998 წლის დეკემბერში AES Silk Road Holdings B.V. კორპორაცია AES-მა შეიძინა

სააქციო საზოგადოება "თელასის" აქციათა 75 %.

„2003 წლის აგვისტოში კორმორაცია AES-მა, ფაქტობრივმა მფლობელმა "Silk Road Holdings B.V."-ს აქციათა პაკეტის 100% მიჰყიდა ფინურ კომპანიას-სააქციო საზოგადოებას- RAO Nordic Oy, რომლის ერთადერთი აქციონერია "ინტერ რაო". ჯგუფი დივერსიფიცირებული ენერგეტიკული ჰოლდინგია, რომელიც რუსეთსა და მის საზღვრებს გარეთ ელექტროენერგეტიკის სფეროს მრავალ სეგმენტში მონაწილეობს. კომპანიას რუსეთის ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის დარგში ლიდერის პოზიცია უკავია. „ინტერ რაო“-ს ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე 33 გიგავატს აღემატება, დღესდღეობით, ჯგუფის საკუთრებაშია „თელასის“ აქციათა 75%, ხოლო საქართველოს მთავრობა აქციების 24,53 % ფლობს სს „საპარტნიორო ფონდის“ მეშვეობით. კერძო პირები ფლობენ დანარჩენ 0,36 %-ს.“¹¹

სს „თელასი“ არის უმსხვილესი ელექტროქსელური და გასაღების ორგანიზაცია. ქალაქ თბილისში -ქვეყანაში ელექტროენერჯის მოხმარების 23% მოდის კომპანიაზე. კომპანია ელექტროენერჯის (სიმძლავრის) შექმნას ახორციელებს ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საბითუმო და საცალო ბაზრებზე, ქ. თბილისის და მიმდებარე სოფლების მომხმარებელთა მომსახურების მიზნით.

სს „თელასი“ ემსახურება საქართველოს დედაქალაქს .თბილისში ელექტროენერჯის წლიური მოხმარება შეადგენს დაახლოებით 2935 მლნ კვტ/ სთ. კომპანია ემსახურება 606,2 ათას აბონენტზე მეტს. მომხმარებელთა მომსახურება და ელექტული ქსელების ექსპლუატაცია ხორციელდება 10 ბიზნეს ცენტრში, რომლებიც განთავსებულია ქალაქის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში. დედაქალაქის ელექტრული ქსელის საერთო სიგრძე შეადგენს- 5338,3 კმ, მათ შორის საჰაერო ჯაჭვების მიხედვით სიგრძეა 2184,5 კმ. საკაბელო ჯაჭვის სიგრძე 3153,8 კმ. 110/35 კვ დამადაბლებელი ქვესადგურების რაოდენობაა 40 ცალი. სატრანსფორმატორო ქვესადგურების 10/6/04 კვ- 1986 ც.“¹²

¹¹ www.reportal.ge სს "თელასის" ფინანსური ანგარიშგება 2018 წელი.

¹² www.reportal.ge სს "თელასის" ფინანსური ანგარიშგება 2018 წელი.

„2020 წლის პირველ კვარტალში კომპანია „თელასმა“ 763,22 მილიონი კვტ*სთ ელექტროენერგია მოიხმარა, რაც 0,01% (0,11 მილიონი კვტ*სთ-ით) აღემატება 2019 წლის პირველი კვარტლის მოხმარების მოცულობას (763,11 მილიონი კვტ*სთ). ელექტროენერგიის მოხმარების მოცულობის მატება ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებამ და ახალი მომხმარებელთა რაოდენობის 4,2% (26,6 ათასით) ზრდამ გამოიწვია.“¹³

„2020 წლის იანვარ-მარტში 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 2,3%-ით (16,6 მილიონი კვტ*სთ-ით) გაიზარდა მომხმარებელზე დარიცხული ელექტროენერგიის მოცულობა და 741,7 მილიონი კვტ*სთ-ი შეადგინა. ამ მაჩვენებლის ზრდა მომხმარებელთა რაოდენობის მატებამ განაპირობა. 2020 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძემ 5 917 კმ შეადგინა, რაც 3,8%-ით (217 კმ-ით) აღემატება 2019 წლის იანვარ-მარტის მაჩვენებელს (5 700 კმ). კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე ქსელის განვითარების, აბონენტთა რაოდენობის მატების და რეკონსტრუქცია-მოდერნიზების სამუშაოების ჩატარების შედეგად გაიზარდა.“¹⁴

საწარმოს საქმიანობის და მისი ეფექტიანობის შესაფასებლად ხდება მოგება-ზარალის ასახული ინფორმაციის ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს გამოიმუშვებს თუ არა საწარმო ფულს. რამდენად ხდება შემოსავლების გაზრდა და დანახარჯების თანაფარდობით მოგების მიღება.

საწარმოს რეალური სურათის შესაფასებლად ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ანალიზი ტარდება, თითოეული ელემენტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და სხვადასხვა ასპექტში გვანახებს არსებულ მგომარეობას. ხდება შეფასება და დადგენა საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს აქვს თუ არა სტაბილური ფინანსური მდგომარეობა, რა ნაკლოვანებებმა მოახდინა გავლენა საწარმოს შედეგებზე.

¹³ <http://www.telasi.ge/ge/news>

¹⁴ <http://www.telasi.ge/ge/news>

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეობა ელექტროენერჯის შესყიდვა და ქ. თბილისში კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო მომხმარებლებზე განაწილება.

ცხრილი 1.1.

სს „თელასის“ მოგება-ზარალის ჰორიზონტალური ანალიზი

2017-2018 წლები

(ათასი ლარი)

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები	2017 წელი	2018 წელი	ცვლილება	ცვლილება %
ამონაგები	420 115	461 969	41854	10
სხვა შემოსავლები	18 838	17 931	-907	-5
შესყიდული ელექტროენერჯია	(321 791)	(351 065)	-29274	9
შრომის ანაზღაურება და მუშაკების სხვა ანაზღაურება	(56 219)	(57 711)	-1492	3
ცვეთა და ამორტიზაცია	(11 824)	(13 284)	-1460	12
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(2 931)	(4 042)	-1111	38
ფორმირებული და სტორნირებული რეზერვები, ნეტო	533	-376	-909	-171
სხვა საოპერაციო ხარჯები	(17 918)	(19 071)	-1153	6
საოპერაციო მოგება	28 803	34 351	5548	19
ფინანსური შემოსავლები	921	676	-245	-27
ფინანსური ხარჯები	(5 051)	(6 876)	-1825	36
ზარალი კურსის სხვაობის შედეგად, ნეტო	-310	-523	-213	68
მოგება დაბეგვრამდე	24 363	27 628	3265	13
სარგებელი/(ხარჯი) მოგების გადასახადის	(2 114)	0	-2114	-100
შესაბამისად				

მოგება წლის განმავლობაში	22 249	27 628	5379	24
სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას მოგებისა და ზარალის შემადგენლობაში შემდგომ პერიოდებში				
აქტუარული (ზარალი)/შემოსავლები დადგენილი გადახდების მქონე საპენსიო პროგრამიდან	-125	-374	(-249)	199
მოგების გადასახადის ზეგავლენა	-	-	-	-
სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში, დაბეგვრის გამოკლებით	-125	-374	-249	199
სულ ერთიანი შემოსავალი წლის განმავლობაში	22 124	27 254	5130	23
საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე	0.0002	0.00024	0,00004	23

ჰორიზონტალურ ანალიზში განხილულია გადახრები წლებში, ნათლად ჩანს რომელი მაჩვენებლის ტემპია გაზრდილი, რომლის შემცირებული.

„2018 წელს ელექტროენერჯის და ქსელური მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 461,969 ათასი ლარი, რაც 41,854 ათასი ლარით მეტია 2017 წელთან შედარებით. ეს გამოწვეული იყო 2018 წელს ელექტროენერჯიაზე შემდეგი ფაქტორებით.


1. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვიდან 184 ათასი ლარით.
2. კომერციულ და სამრეწველო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვების შედეგად გაიზარდა 26,920 ათასი ლარით.
3. ელექტროენერჯის სახელმწიფო სექტორზე გაყიდვების შედეგად გაიზარდა 195 ათასი ლარით.

4. ელექტროენერჯის ტრანზიტის შედეგად 1,136 ათასი ლარით.¹⁵

ცხრილი 1.2

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

2017-2018 წელი დინამიკაში (ათასი ლარი)



მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის საერთო სასარგებლო გაშვებამ 2018 წელს შეადგინა 2 819 მლნ კვტ* სთ. ელექტროენერჯის შესყიდვისა და განაწილების გარდა, საზოგადოება უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ტრანზიტით მომსახურებას. ტრანზიტის შედეგად მიღებული ამონაგები წარმოადგენს შემოსავლებს, რომელსაც კომპანია იღებს ელექტროენერჯის ტრანზიტისთვის, რომელსაც მომხმარებლები ყიდულობენ უშუალოდ მიმწოდებლებთან კომპანიის ქსელის მეშვეობით.


წრიული დიაგრამა 1.3.

სს „თელასის“ ელექტროენერჯის მოხმარებების სტრუქტურა

¹⁵ სს „თელასის“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წელი

აბონენტების კატეგორიების მიხედვით

2018 წელი



საწარმოს საქმიანობისა და მისი ეფექტიანობის შესაფასებლად ხდება მოგების და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს საწარმო რამდენად ხდება შემოსავლების გაზრდა და დანახარჯების თანაფარდობით მოგების მიღება.

პროდუქციის რენტაბელობის კოეფიციენტები:

ფასნამატი-ეს არის პროდუქციის თვითღირებულებას დამატებული თანხა, რომელიც სურს საწარმოს რომ მიიღოს მოგების სახით ერთ პროდუქციაზე. ფასნამატით საწარმო ადგენს მოგების მოცულობას, გამოითვლება ფორმულით:

$$\text{ფასნამატი} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{პროდუქციის თვითღირებულება}} * 100\%$$

მოგების მარჟა გვიჩვენებს მოგების იმ რაოდენობას, რომელიც მიიღო საწარმომ ერთ ლარ შემოსავალზე.

$$\text{მოგების მარჟა} = \frac{\text{რეალიზაციიდან მოგება}}{\text{რეალიზაციიდან შემოსავალი}} * 100\%$$

შესაძლებელია მაჩვენებლებით დავადგინოთ დანახარჯები ერთ ლარ შემოსავალზე, ადმინისტრაციული ხარჯები ერთ ლარ შემოსავალზე, ასევე შემოსავლების საერთო ხარჯტევადობა. აღნიშნული მაჩვენებელი მენეჯერს ეხმარება დანახარჯების კონტროლში და მართვა.

საწარმოს შემოსავლების მოცულობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. მაგალითად: როდესაც საწარმო ცვლის გასაყიდ ფასს, მისი მომატების მრავალი მიზეზი არსებობს, როდესაც საწარმო ცდილობს გაამართლოს ფასის გაზრდა, ერთ-ერთია იმ მასალებზე ერთეულის ფასის ზრდა, რომელსაც თვითონ იყენებს პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც ჯერ პროდუქციის თვითღირებულების გაზრდაზე აისახება, ასევე რეალიზაციის ცვლილება, საწარმომ შეიძლება დაგეგმოს გარკვეული რაოდენობის პროდუქციის გამოშვება სასურველი მოგების მისაღებად. შემოსავლების მოცულობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. ფასის ცვლილება
2. პროდუქციის რაოდენობის ცვლილება
3. დანახარჯების ცვლილება
4. გასაყიდ პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილება
5. ხარისხის ცვლილება
6. თვითღირებულების ცვლილება

ელექტროენერჯის გაყიდვების ტარიფებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების კომისია (სემეკი) , რომელიც აწესებს ტარიფებს და საწარმოს არ აქვს უფლება შეთანხმებული ტარიფების ზრდის ან შემცირების. 2018 წლის შემოსავალის ზრდა სწორედ ტარიფების გაზრდით იყო გამოწვეული.

„2017 წლის 1 იანვრიდან, სემეკ-ის 38 დადგენილების თანახმად, ტარიფებმა ტრანზიტზე შეადგინა 0,01270 დან 0,05686-მდე ლარი / მგტ*სთ. ხოლო 2018 წლის 1 იანვრიდან სემეკ-ის 48 დადგენილების თანახმად 0,02058 დან 0,06472- მდე გაიზარდა. ეს ტარიფია ძალაში 2018-2020 წლის პერიოდში. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე

2018 წლის მოგებამ 27,628 ათასი ლარი შეადგინა გეგმური მოგებასთან შედარებით 18,869 ათასი ლარის ოდენობით.¹⁶

ცხრილი 1.4.

სს „თელასის“ შემოსავლების მაჩვენებლები

2017-2018 წლები (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2017	2018	გადახრა
შემოსავალი რეალიზაციიდან	420115	461969	41854
სხვა შემოსავლები	18838	17931	-907
სულ შემოსავლები	438,953	479,900	40,947

ცხრილიდან ჩანს 2018 წელს შემოსავალი რეალიზაციიდან გაზრდა 41,854 ათასი ლარით, ხოლო სხვა შემოსავლები 907 ათასი ლარით შემცირდა, შესაბამისად, 2018 წელს შემოსავალის ზრდამ 2017 წელთან შედარებით 40,947 ათასი ლარი შეადგინა, რაც ნიშნავს რომ სს „თელასს“ ზრდის ტემპი აქვს.

ცხრილი 1.5.

სხვა შემოსავლების შემადგენლობა

2017-2018 წლები

(ათასი ლარი)

	2017 წელი	2018 წელი	ცვლილება
სამონტაჟო და სარემონტო მომსახურება	11797	13088	1291
მოსაკრებლის შეგროვების საფასური	2400	2400	0
მომხამარებლისგან გადაცემული აქტივები	1721	112	-1609

¹⁶ სს „თელასის“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წელი.

სხვა შემოსავლები	2920	2331	-589
სულ	18838	17931	-907

სხვა შემოსავლებში შედის სამონტაჟო და სარემონტო მომსახურება-მომხმარებლები მიმართავენ საწარმოს ტექნიკური მომსახურებისთვის და გადახდები დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე. 2018 წელს სხვა შემოსავლების ეს მუხლია მხოლოდ გაზრდილი, დანარჩენ მუხლებში კლება შეინიშნება.

საწარმოსთვის მნიშვნელოვანია როგორც შემოსავლების მთლიანი მოცულობის გავლენა ფინანსურ შედეგებზე, ასევე აქტივებთან მისი დამოკიდებულება.

„შემოსავლების ფარდობა აქტივებთან გვაწვდის ინფორმაციას თუ საწარმო რამდენ პროცენტ შემოსავალს მიიღებს 1 ლარ აქტივზე.“¹⁷

საანალიზო საწარმოში ეს მაჩვენებელი შეადგენს:

2017 წელს $438953/320882*100\%=73.10\%$

2018 წელს $479900/340686*100\%= 140.86\%$

ეს მიუთითებს რომ საწარმოში აქტივების გამოყენების ეფექტიანობა გაზრდილია 2018 წელს.

კიდევ ერთი მაჩვენებელი რომელიც მიგვითითებს საწარმო თუ რამდენ პროცენტ შემოსავალს იღებს მის მიერ დახარჯულ ერთ ლარზე გამოითვლება პროცენტულად შემოსავლების ფარდობით საოპერაციო ხარჯებთან.¹⁸

2017 წელს $438953/410683* 100=106.88\%$

2018 წელს $479900/ 445549* 100=107.71\%$

თავი 2. სს „თელასის“ დანახარჯების ანალიზის ძირითადი საკითხები

¹⁷ ჭილაძე იზოლდა . ფინანსური ანალიზი, გამომცემლობა ”მერიდინი“, თბილისი 2018.

¹⁸ ჭილაძე იზოლდა . ფინანსური ანალიზი, გამომცემლობა ”მერიდინი“, თბილისი 2018.

2.1 დანახარჯების არსი, კლასიფიკაცია და დანახარჯების ქცევა

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი არის ხარჯები, ეკონომიკური სარგებლის შემცირება კონკრეტული საანგარიშგებო პერიოდისთვის, როდესაც საწარმოდან გადის აქტივები ან ხდება ვალდებულებების ზრდა, ამას მოჰყვება საწარმოს კაპიტალის შემცირება, ისე რომ მესაკუთრეების მხრიდან არ ხდება კაპიტალის განაწილება. ხარჯების სახეობებს მიეკუთვნება ასევე საოპერაციო ხარჯები, ანუ საწარმოს ძირითადი მაპროფიტებელი საქმიანობაზე გაწეული ხარჯები, პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები, რეალიზაციაზე, მიწოდებაზე, საერთო-ადმინისტრაციული და სხვა არასაოპერაციო ხარჯები, ხარჯები რომელიც დამხმარე ხასითის სამიანობაზე გაიწევა.

მესაკუთრის ინტერესშია, ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას საწარმოს რესურსების შესახებ, ასევე მათი გამოყენების შესახებ, რათა დაადგინოს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება სამეურნეო საქმიანობაში არსებული რესურსები, პროდუქციაზე და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების მოცულობის განსაზღვრა მნიშვნელოვანია შემდგომისი ამ ხარჯების კონტროლისთვის. ხარჯები წარმოადგენს რესურსების მოხმარების მოცულობას რაც გამოიყენება პროდუქციისა შექმნისთვის და მომსახურების მიწოდებისთვის. პირველ რიგში უნდა იცოდეს ხელმძღვანელობამ ხარჯების გაწევის მიზანი. დანახარჯების მიზანი არის ობიექტი, ნებისმიერი საქმიანობა, რომლის მიხედვითაც დანახარჯები განცალკავებულად გამოიყენება, ანუ რაზე იხარჯება ესა თუ ის ხარჯი, ეს შეიძლება იყოს პროდუქციის წარმოებისას, ცალკეული განყოფილებების დანახარჯები და სხვა.

მენეჯმენტს სურს მაქსიმალურად იცოდეს დანახარჯების მოცულობა, როგორც მთლიანად პროდუქციაზე ასევე, ცალკეული ერთეულზე. სწორედ თითოეული ერთეულის დეტალური ანალიზი გვაძლევს მაღალი ხარისხის კონტროლს დანახარჯთა ერთეულზე. დანახარჯთა ერთეული არის პროდუქციისა თუ მომსახურების უმცირესი ერთეული, რომლის გამოსახვაც რაოდენობრივად შესაძლებელია, და რომელიც შესაძლებლობას იძლევა აღრიცხვიანობის.

დანახარჯთა ერთეულის ცოდნა მნიშვნელოვანია წარმოებული პროდუქციის ფასდადგენისა და პროდუქციის ასორტიმენტის შესახებ ინფორმაციისთვის, მარაგის შეფასების და ბიუჯეტის დაგეგმვის მიზნით.

დანახარჯების კონტროლი ხდება საქმიანობის ადგილის ანუ დანახარჯთა ცენტრების მიხედვით, ეს არის საწარმოს განყოფილება, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მხოლოდ ხარჯების გაწევასთან და მისი მუშაობა ფასდება დანახარჯების ბიუჯეტის დაცვით. დანახარჯების ცენტრები შეიძლება იყოს საწარმოში არსებული საწარმოო საამქროები, ადმინისტრაცია და სხვა.

სტანდარტის მიხედვით სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება ხდება თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებელი დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და უნდა ხდებოდეს მისი საიმედოდ შეფასება-გაზომვა, ანუ ხარჯების აღიარება და განსაზღვრა ხდება მაშინ როგორც კი აღიარდება აქტივების შემცირება და ვალდებულებების ზრდა.

საწარმოს მმართველობა, თავის საფინანსო-ეკონომიკური მიზნების მისაღწევად მრავალი სახის რესურსების გამოყენებას საჭიროებს, მისი ინტერესებია ფლობდეს ინფორმაციას რესურსების შეძენის მოცულობაზე, ასევე მათი გამოყენების შესახებ რადგან დაადგინოს რამდენად ეფექტურად ხდება რესურსები გამოყენება.

როგორც ავღნიშნეთ საწარმოს მთავარ მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება, რაც შეიძლება მეტი მომგებიანობის ნიშნულზე გასვლა ნაკლები დანახარჯებით, ისინი წინასწარ გეგმავენ პროდუქციის მოცულობასთან დაკავშირებულ ერთ ერთეულზე გაწეულ ხარჯებს, თუმცა წინასწარ ზუსტი დანახარჯების პროგრნოზირება ძნელია, რადგან სამეუნეო სუბიექტებს ისეთი დანახარჯებიც წარმოეჩნებათ, რომლებიც მათზე არ არის დამოკიდებული. სწორედ ხარჯებზე არის დამოკიდებული მიწოდების რაოდენობაც, მოგებების გაანგარიშებაც, და საერთოდ საწარმოს სიცოცხლისუნარიანობა.

მენეჯმენტი ცდილობს მაქსიმალურად განსაზღვროს დანახარჯების მოცულობა, ამა თუ იმ საქმიანობაზე, პროდუქციაზე მთლიანად და ერთეულ პროდუქტზე მოახდინოს ხარჯის მართვის ეფექტიანობის განსაზღვრა. ანალიზის გაკეთების ძირითადი ამოცანებია: ხარჯების სავარაუდო ღირებულება, სტრუქტურა, უარყოფითი გავლენის მნიშვნელობა მოგების სიდიდეზე, წინა წლის ხარჯების ტენდენციის შეფასება, ხარჯებს შორის გადახრების დადგენა, ხარჯების ობიექტის მაქსიმალური მოცულობის განსაზღვრა.

დანახარჯების ანალიზის წყაროს წარმოადგენს ბუღალტრული მონაცემები, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი კომპონენტები, ისინი იძლევიან ინფორმაციას დანახარჯების შესახებ.

„დანახარჯთა ერთეული არის პროდუქციის და მომსახურების ისეთი უმცირესი ფიზიკური ერთეული, რომლის მიხედვით დანახარჯების აღრიცხვა და დადგენა შესაძლებელია და მიზანშეწონილი. დანახარჯთა ერთეულის არჩევა დამოკიდებულია ბიზნესის ტექნოლოგიურ თავისებურებებზე და იმაზე, რამდენად ხარჯტევადია პროდუქტი (ან მომსახურება). რაც უფრო ხარჯტევადია პროდუქტი, მით უფრო მცირე ზომისაა საკალკულაციო ერთეული.“¹⁹

დანახარჯების კლასიფიკაცია მოხერხებულია, რადგან ისინი ლოგიკურად ჯგუფდებიან, გარკვეული ნიშნით, მახასიათებლებით, შინაარსობლივად, ერთნაირი წარმოქმნის წყაროებით. დანახარჯები დაჯგუფებულია:

ხარჯვის მიმართულების მიხედვით- როდესაც სწარმოში ხარჯი გაიწევა რესურსების მომარაგების დროს, რომელიც საჭიროა პროდუქციის საწარმოებლად, მომსახურების გასაწევად და საწარმოს შიგნით ამ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები.

საქმიანობის მიხედვით- გამოყოფენ საწარმოს ძირითად საქმიანობაზე გაწეული ხარჯები, დამხმარე ხასიათის საქმიანობაზე გაწეული ხარჯი, რომელსაც ეწევა საწარმო და

¹⁹ ჭილაძე იზოლდა . ფინანსური ანალიზი, გამომცემლობა ”მერიდინი“, თბილისი 2018

განსაკუთრებული ხარჯები, რომელიც არ წარმოიქმდება ჩვეულებრივი საქმიანობიდან და არც რეგულარულ ხასიათს ატარებს.

ეკონომიკური შინაარსის და პროდუქციის თვითღირებულებისადმი მიმართებით- ხარჯები შესაძლებელია უშუალოდ პროდუქციის თვითღირებულებაში იყოს გათვალისწინებული, მაგალითად: ძირითადი მასალის, შრომის, საწარმოო ზედნადები ხარჯები, სწორედ ეს ხარჯები შეიტანება მოგება-ზარალის თვითღირებულების მუხლში. ასევეც ისეთი საწარმო ხარჯები, რომელიც პერიოდის ხარჯებია და არ შედის პროდუქციის თვითღირებულებაში და არც მოგება-ზარალის ანგარიშიდანაც ჩამოიწერება. მაგალითად მარკეტინგის, არასაოპერაციო, საერთო-ადმინისტრაციული და განსაკუთრებული ხარჯები, რომლებიც არ ზრდიან მარაგების ღირებულებას.

ხარჯების დაყოფა ხდება პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებად- პირდაპირი ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომელიც წინასწარვე ცნობილია რომელი სახის საქონელზე გაიწევა და მის თვითღირებულებაში შეიტანება. არაპირდაპირი ხარჯები გვხვდება მაშინ როდესაც საწარმო სხვადასხვა პროდუქციას აწარმოებს და წინასწარ არ იცის რომელ საქონელზე გამოიყენება კონკრეტული დანახარჯი, ეს ირიბი ხარჯებია და პროდუქციის თვითღირებულებაში შეიტანება როცა გადანაწილდება პროდუქციაზე. ხარჯების ამდაგვარი დაყოფა მნიშვნელოვანია თითოეული პროდუქციის მომგებიანობის გასაზომად.

საწარმოს გააჩნია ისეთი დანახარჯები, როცა მისი მოცულობა დამოკიდებულია საწარმოს წარმოების რაოდენობაზე, ასეთი ხარჯები იყოფა ცვალებად და მუდმივ ხარჯებად, ცვალებადია როდესაც წარმოები პროპორციულად იცვლება, როდესაც წარმოებისას იზრდება გამშვებული პროდუქცია, ასევე იზრდება თითოეული პროდუქციის საწარმოებლად გამოყენებული რესურსები. მუდმივი ხარჯები კი არ იცვლებიან და არ არიან დამოკიდებული საწარმო რამდენი რაოდენობის პროდუქციას აწარმოებს, ისინი მუდმივად არსებობენ საწარმოში.

დანახარჯების კიდევ ერთი დაყოფა ხდება საწარმოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მომავალის ხარჯებია რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას იცვლება რელევანტური ხარჯები, არარელევანტური ხარჯია როდესაც წარსულის დანახარჯებია და გადაწყვეტილება მასზე ზეგავლენას ვერ მოახდენს. გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლოა ხარჯები აღარ არსებობდნენ ასეთ ხარჯებს აღმოფხვრადი ხარჯები ეწოდება, ხოლო არააღმოფხვრადია ხარჯი გადაწყვეტილების მიუხედავად მაინც იარსებებს და არ ითვალისწინებენ გადაწყვეტილების მიღებას.

საწარმოთა უმრავლესობა დარიცხვის მეთოდს იყენებ ამიტომ, ხარჯების გაწევის დროს აქვს მნიშვნელობა, ხარჯებს ყოფენ მიმდინარე პერიოდის ხარჯებად და მომავალი პერიოდის ხარჯებად. მიმდინარეში ისეთ ხარჯებს აერთიანებენ, რაც პროდუქციის თვითღირებულებაში შეიტანება ან მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან ჩამოიწერება, მიუხედავად იმისა ფული რეალურად არის თუ არა მიღებული. მომავალი პერიოდის ხარჯები, მართალია ახლა გაწეულად ითვლება მაგრამ მომავალი პროდუქციის თვითღირებულებაში შეიტანება.

ეს კლასიფიკაცია არასრულია, თუმცა საწარმოსთვის მნიშვნელოვანია, რადგან მათი მეშვეობით ხდება სააგანარიშგებო პერიოდში რა ხარჯების გათვალისწინება შეიძლება, რომელი ხარჯები ახდენენ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე გავლენას.

წარმოქმნილი ხარჯების დროს მნიშვნელოვანია ეს ხარჯები დროის რომელ პერიოდში უნდა იქნეს აღიარებული, და შეფასებული საიმედოდ, მხოლოდ ამის მერე ხდება მოგება-ზარალში მისი ასახვა. ხარჯების აღიარება მაშინვე ხდება როდესაც აღიარდება აქტივების შემცირება, ან ვალდებულების ზრდა. ერთი და იმავე ოპერაცია თუ წარმოქმნის შემოსავალს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს მაშინ ისინი ერთიდაიგივე დროს აღიარდება. მაგალითად: გაყიდული საქონელიდან შემოსული ამონაგების აღიარებას როცა ვახდენთ, აღიარდება ხარჯებით თუ ჩვეულებრივად იქნა მიწოდება და ანაზღაურება მიღებული.

შესაძლებელია სარგებელის მიღება საწარმოში მოხდეს რამდენიმე პერიოდის შემდეგ, მაშინ ხარჯები გონივრულად ნაწილდება, მაგალითად, ძირითადი საშუალებების დროს, ხარჯები იმ საანგარიშგებო პერიოდში აღიარდება სანამ ამ აქტივისგან მისაღების სარგებელი არ ამოიწურება.

მოგება-ზარალი საანგარიშგებაში ხარჯები გამიჯნული უნდა იყოს პროდუქციის თვითღირებულების და საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით. გარკვეული ხარჯები რომელიც პროდუქციის თვითღირებულებაზე დაიხარჯება ჩართული უნდა იყოს მისი ფასის განსაზღვრაშიც. მაგალითად: ძირითადი მასალის ხარჯი, იმ მასალების რომელიც სჭირდება პროდუქციის დამზადებას, პირდაპირი ხელფასის ხარჯები, იმ მუშახელის რომელიც ქმნის პროდუქციას და საწარმოო ზედნადები ხარჯები. ეს ხარჯები აყალიბებს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას. როდესაც წარმოებული პროდუქცია და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა ერთმანეთს ემთხვევა გაწეული ხარჯები ტოლი იქნება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების, რომელიც მოგება-ზარალის საანგარიშგებაში აისახება, ხოლო როცა წარმოებული პროდუქციის მოცულა გადააჭარბებს რეალიზაციას, დანახარჯები ასახული იქნება არარეალიზებულ პროდუქციაში მარაგს და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქტივების შემადგენლობაში შედის. ესეიგი მომავალი ეკონომიკური სარგებლობის მომტანია და შესაბამის პერიოდში იქნება ხარჯად აღიარებული.

დანახარჯები შესაძლებელია აღირიცხოს ეკონომიკური ელემენტების მიხედვით (ერთიანად ხარჯთა მეთოდი) და დანახარჯთა ფუნქციების (საბრუნავ ხარჯთა) მეთოდით. ეკონომიკური ელემენტების მიხედვით პერიოდული აღრიცხვის სისტემით ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა, ანუ მათი შექმნის თანავე ხდება დანახარჯების აღრიცხვა. ეს მეთოდი ფულადი სახსრების პროგნოზირების საშუალებას იძლევა. დანახარჯთა აღრიცხვის ფუნქციის მიხედვით მარაგების უწყვეტი, მუდმივი აღრიცხვა ხდება. ეს მეთოდი ხარჯებს ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ანაწილებს.

2.2. დანახარჯების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი

საწარმოს მოგება-ზარალის ანგარიშგება გვიჩვენებს ბიზნესის აქტიურობას პერიოდის განმავლობაში, საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგებს და შესაძლებლობას იძლევა შესასწავლი იქნეს ფინანსურ-ეკონომიკური ეფექტიანობა. მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს დანახარჯების მუხლები, ანალიზისთვის საჭიროა ვიცოდეთ თუ რა ელემენტებისგან შედგება, რათა შევძლოთ რამდენად ეფექტურად ხდება სამეურნეო პროცესში მათი ხარჯვა. დანახარჯები ამცირებენ მოგებას, შესაძლებია ეს აქტივების გასვლით, ან ვალდებულებების ზრდით იყოს გამოწვეული რაც საბოლოო მოგებაზე ახდენს ზეგავლენას.

ცხრილი 2.1.

სს „თელასის“ ხარჯების ანალიზი

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2017-2018 წლები

(ათასი ლარი)

დანახარჯთა ელემენტები	2017 წელი	2018 წელი	ცვლილება
შესყიდული ელექტროენერგია	321791	351065	29274
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის	56219	57711	1492
ცვეთა და ამორტიზაცია	11824	13284	1460
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა შექმნილი და გაუქმებული რეზერვები,	2931	4042	1111
ფორმირებული და სტორნირებული რეზერვები, ნეტო	0	376	376
სხვა საოპერაციო ხარჯები	17918	19071	1153

ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	5051	6876	1825
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი,	310	523	213
ხარჯები მოგების გადასახადზე	2114	0	-2114
სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში, დაბეგვრის გამოკლებით	125	374	249

20


შესყიდული ენერჯის მაჩვენებლების გაზრდა გამოწვეულია ქსელში ჩართული ახალი აბონენტების ზრდით, რის გამოც გაიზარდა რესურსების მეტი რაოდენობით მოხმარებაზე გაწეული ხარჯები. სახელფასო დანახარჯები ასევე გაიზარდებოდა, რადგან დასაქმებულათა რიცხვი წინა წელთან შედარებით გაზრდილი 8 ადამიანითა და 2018 წელს დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 2066 ადამიანს.

გრაფიკი 2.2.

სს „თელასის“ დანახარჯების სტრუქტურა

2017- 2018 წლები

(% %)



²⁰ სს „თელასის“ ფინანსური ანგარიშგებები 2017- 2018 წლები

2018 წელს დანახარჯების მთლიან მოცულობაში პროცენტულად ყველაზე დიდი წილი მოდის შესყიდულ ენერგიაზე ხარჯების 77,44 %,- ს მაჩვენებელი არ არის გასკვირი, რადგან საწარმო ახდენს ელექტროენერჯის შესყიდვას და განაწილებას მომხმარებლებზე. მათი რაოდენობაზე დაყრდნობით ხდება განსაზღვრა შესყიდული ელექტროენერჯის. 2018 ქსელში ჩართულმა ახალმა აბონენტებმა შეადგენს 28,5 ათასზე მეტი, აერთიანებს როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებსაც.

კომპანია ელექტროენერჯიას და მომსახურების შესყიდვას ახდენს მომწოდებლისგან რეგულირებული ტარიფებით და რეალიზაციას ახდენს ასევე დადგენილი ტარიფების შესაბამისად, ტარიფების ცვლილება როგორც ავლნიშნეთ რეალიზებულ საქონელზე მოხდა 2018 წელს, რომელმაც გავლენა მოახდინა მოგების ფორმირებაზე.

სს „თელასი“ ელექტროენერჯიას შესყიდვას ახდენს სს ხრამხესი 1 და სს ხრამხესი 2-სგან, რომლის მიმართაც წარმოშობილ ვალდებულებებს ხშირად ვერ ფარავს კომპანია, 2018 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ვადაგადასაული დავალიანების გრძელვადიან კრედიტებად რესტრუქტურის შესახებ.

ასევა, გაზრდილია სხვა საოპერაციო ხარჯები,რომელიც ანგარიშგებაში შედარებით დეტალურად არის წარმოდგენილი:

ცხრილი 2.3.

სს „თელასის“ სხვა საოპერაციო ხარჯების ანალიზი

2017-2018 წლები

(ათასი ლარი)

სხვა საოპერაციო ხარჯები	2017 წელი	2018 წელი	ცვლილება
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	4,589	4,192	-397
დაზღვევა	2,500	2,659	159
ოფისის იჯარა და ტექნიკური მომსახურება	1,152	1,068	-84
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	1,696	1,781	85
საწევრო შენატანები	1,452	1,562	110

ქველმოქმედება და სოციალური დანახარჯები	849	631	-218
მგზავრობის და წარმომადგენლობითი ხარჯები	650	662	12
პროფესიული მომსახურება	632	828	196
ზარალი მარაგებზე, რომელიც ასახულია რეალიზაციის წმინდა ღირებულებით	560	606	46
ტრანსპორტირების ხარჯები	459	637	178
რესტრუქტურიზებული დებიტორული დავალიანების საწყისი აღიარების შედეგად მიღებული ზარალი	433	241	-192
საკანცელარიო საქონელი	276	300	24
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი	211	483	272
ინვესტიციების ექსპერტიზის ხარჯები	147	457	310
ჯარიმები და საურავები	167	373	206
სხვა	2,145	2,591	446
ჯამში სხვა საოპერაციო ხარჯები	17,918	19,071	1,153

სხვა საოპერაციო ხარჯებში მნიშვნელოვნად არის შემცირებული 2018 წელს რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები.


სს „თელასის“ ელექტროქსელური მეურნეობის ობიექტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი ხორციელდება საზოგადოების საკუთარი ძალებით, აგრეთვე მოწვეული კონტრაგენტების მიერ. ქსელის გაშვებისასა ხშირად იქმნება სავაგარიო ვითარება, ტექნიკური გაუმართავობის გამო, ან მოძველებული სისტემის მიზეზით, კომპანია ცდილობს ყოველწლიურად აღმოფხვრას მსგავსი შინაარსის ხარჯები.

გრაფიკი 2.4.

სს „თელასის“ სხვა საოპერაციო ხარჯების დინამიკური ანალიზი

2017-2018 წლები

(% %)




ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს რომ 2018 წელს რემონტის ფაქტობრივმა დანახარჯებმა შეადგინა 2840,5 ათასი ლარი, დაგეგმილზე 8,45 ათასით ნაკლები აღმოჩნდა. ელექტრული ქსელების რემონტზე ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა 269,41 ათასი ლარი, რაც გეგმასთან შედარებით 4 ათასი ლარით მეტი აღმოჩნდა. არასაწარმოო სფეროს რემონტის ხარჯებმა შეადგინა 171,14 ათასი ლარი, გეგმური 264 ათასი ლარი იყო.

წრიული დიაგრამა 2.5.

სს „თელასის“ რემონტების სტრუქტურა

2018 წელი

(% %)




„2018 წელს საზოგადოების მიერ შესყიდული იყო 2 989 მლნ კვტ*სთ ელექტროენერგია. გადაცემის დროს დანაკარგებმა მაღალი ძაბვის ქსელებში შეადგინა 0.63%, ანუ 19 მლნ კვტ*სთ. ქსელში გაშვებამ შეადგინა 2 970 მლნ კვტ*სთ. მომხმარებლისათვის სასარგებლო გაშვებამ შეადგინა 2 819 მლნ კვტ*სთ. სს „თელასის“ ქსელში ელექტროენერგის ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 151 მლნ კვტ*სთ. 2018 წელს შესასყიდი ელექტროენერგის გადაცემისას დანაკარგების მაჩვენებლები დაგეგმილი იყო 2.04% დონეზე, ანუ 65 მლნ კვტ*სთ. ფაქტის მიხედვით ე/ე დანაკარგებმა გადაცემის დროს შეადგინა 0.63%, ანუ 19 მლნ კვტ*სთ.“²¹

გრაფიკი 2.6.

სს „თელასის“ ქსელში ელექტროენერგის შესყიდვის, განაწილების
დანაკარგები
2018 წელი

²¹ სს „თელასი“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წელი



დანახრჯთა ელემენტებში მნიშვნელოვანია ასევე ცვეთისა და ამორტიზაციის მუხლი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

- შენობა-ნაგებობები 50 წლამდე
- მანქანები და მოწყობილობები 15-30 წლამდე
- საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი 5-15 წლამდე
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები 5-20 წლამდე

„თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.“²²

ცხრილი 2.7.

²² სს “თელასი” ფინანსური ანგარიშგება 2018 წელი

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

	ათასი ლარი	
	2017	2018
	წელი	წელი
ქონების გადასახადი	1500	1683
ელექტროენერჯის დანაკარგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი	1265	908
სხვა	166	1451
სულ გადასახადები მოგების გადასახადი გარდა	2931	4042

სს „თელასის“ საშუალო წლიურმა დანაკარგებმა 2018 წელს, დაახლოებით 5.1% (2017: 5.50%) შეადგინა. ამან გამოიწვია დამატებითი დღგ ვალდებულების დარიცხვა, რომელიც „კომპანია“ ვერ ამოიღო მომხმარებლებისგან და აქედან გამომდინარე, ხარჯად აღიარა სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.3 შემოსავლების, დანახარჯებისა და მოგების დამოკიდებულების ანალიზი და გაკოტრების საფრთხეები

მოგების გაანგარიშებისას უნდა მოვახდინოთ შემოსავლებისა და დანახარჯების გავლენა მასზე, თუ როგორ შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ერთ ცვლილებას მეორეზე და იძლევა ინფორმაციას საწარმოს საქმიანობის ცვლილებების შესახებ. სწორედ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზისას დროს ხდება დადგენა რამდენად კარგ სიტუაციაშია კომპანია ფინანსური კუთხით, მისი განვითარების ტემპები წლიდან წლამდე როგორ იცვლება, საქმიანობის შედეგები მდგრადია არამდგრადი თუ კრიზისულ სიტუაციაში იმყოფება. მდგრადია, როდესაც ის ვალდებულებებს ასრულებს, კაპიტალის გაფართოებას ახდენს, საწარმოს გადახდისუნარიანობა მაღლდება და თამამად შეუძლია ფულადი რესურსების მიმართვა იმ სფეროსკენ რომლის განვითარებაც სურს. კრიზისულ სიტუაციაში საწარმო ვარდება მაშინ, როცა ვალდებულებების დროული დაფარვა არ ხდება, მოზიდული კაპიტალი უფრო მეტი აქვს, ვერ ახდენს დროულად გადასახდლების გასტუმრებას და საწარმოს ეფექტიანობა თანდათან მცირდება.

ცხრილი 2.8.

შემოსავლების, დანახარჯების და მოგების მაჩვენებლები

2017-2018 წწ.

(ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2017 წ	2018 წ	გადახრა
სულ შემოსავალი	440407	480576	40169
სულ ხარჯები	418283	453322	35039
მოგება	22124	27254	5130

როცა დანახარჯების სიდიდე მატულობს მოგების მაჩვენებელი იკლებს, შემოსავლების ზრდასთან ერთად გვაქვს ხარჯების მატებაც, სწორედ ეს ორი სიდიდე განსაზღვრავს მოგების მოცულობას.

	2017 წელი	2018 წელი
საოპერაციო მოგება		
საერთო მოგება	438953	479900
საოპერაციო ხარჯები	-410150	-445549
საოპერაციო მოგება	28803	34351
მოგება დაბეგვრამდე		
დასაბეგრი მოგება	24363	27628
წმინდა მოგება		
წლისგანმავლობაში მოგება	22124	27254

სს „თელასის“ მაგალითზე საერთო მოგება გაზრდილია წინა წელთან შედარებით, ძირითადად ამონაგების ზრდა გამოწვეულია ტარიფების ზრდით, ხარჯების ზრდასთან ერთად მაინც მოგების მაჩვენებელს ინარჩუნებს. დანახარჯებზე მოქმედი ფაქტორების ინციდენტების, არასაკმარისი გაშვება ქსელში, ავარიების, გამართულობის შეკეთების, ჯარიმების მიზეზები მართალია შემცირებულია წინა წელთან შედარებით, მაგრამ 2018 წლის მოგებაზე მათი გავლენის შედეგად მოგების დიდი მაჩვენებელი არ ფიქსირდება.

მოგებამ შეიძლება ყოველთვის არ გაზარდოს ფულადი სახსრები და ასახული იყოს გადიდებულ აქტივებში, ან საწარმომ უბრალოდ ვალდებულებების დაფარვა დაიწყო, მაგრამ მოგება ყოველთვის ზრდის მფლობელთა კაპიტალს.

წლის განმავლობაში გამომუშავებული მოგების მოხმარების ორი გზა აქვთ საწარმოს პარტნიორებს, შესაძლებელია ის განაწილდეს პარტნიორებზე დივიდენდის სახით პროპორციულად მათი წილის შესაბამისად ან არაპროპორციულად, და რეინვესტირებულ იქნას საწარმოში, წარმოების გაფართოების, გაუმჯობესების სახით. გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აფასებს საწარმოს თვითდაფინანსების შესაძლებლობებს. მისი სიდიდე დამოკიდებულია სადივიდენდო პოლიტიკაზე.

2018 წელს ჩატარებული აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით 2017 წელის ფინანსური შედეგებზე დაყრდნობით დივიდენდების განაწილება არ მომხდარა.

ცხრილი 2.9

დივიდენდების განაწილება

2017-2018 წლები

	გადახდილია წლის მიხედვით	წინა შედეგების 2017 წელს	2017 წელის შედეგების მიხედვით მომდევნო წელს
დივიდენდების საერთო თანხა	20 000 000	-	-
დივიდენდების ჩვეულებრივ აქციაზე	0.18 ლარი	-	-
დივიდენდების ჩვეულებრივი აქციების შესაბამისად	0.18 ლარი	-	-

სააქციო საზოგადოება "თელასის" კაპიტალი რომელიც შეადგენს 112,429,418 ლარს დაყოფილია 1 (ერთი) ლარის ნომინალური ღირებულების აქციებად.

ცხრილი 2.10.

კაპიტალის სტრუქტურა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფასიანი კლასი	ქალაქის	მფლობელი	აქცია/ლარი	% განაწილება
ჩვეულებრივი აქცია		Silk Road Holdings B.V.	84443957	75.108


ჩვეულებრივი აქცია	სს "საპარტნიორო ფონდი, საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	27577837	24.529
ჩვეულებრივი აქცია	დანარჩენი აქციონერები	407624	0.363
სულ		112429418	100

წრიული დიაგრამა 2.11.

კაპიტალის წილობრივი განაწილება

2018 წელი

(%)



საწარმომ თავისი ფუნქციონირების პირობებში არა მხოლოდ უნდა გაზარდოს შემოსავლები, არამედ იმ გარემოში მოახდინოს რესურსების შენარჩუნება, ყოველშიც იმყოფება, ბაზარზე სადაც კონკურენტები ჰყავს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სწორი რესურსების მართვა და მოგების სწორი გამოყენება, რათა არ შეექმნას ფინანსური პრობლემები და ყველაზე ცუდი შედეგით გაკოტრებით არ დაამთავროს. საკუთრი სახსრების მართავასთან ერთად კომპანიამ ნასესხები საშუალებების გონივრდამართულ

მართვასაც უნდა ახდენს, იდეალურ მდგომარეობაში საკუთარი სახსრებით იფარება ვალდებულებები, თუმცა რაღაც პერიოდის განმავლობაში კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს მოზიდული სახსრები, ამიტომ გადახდისუნარიანობის დადგენა მისის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

საწარმომ ფუნქციონირება რომ განაგრძოს, შეცვალოს, შენელების, გაზრდის ტემპები, მას ესაჭიროება სამომავლო პროგნოზირების გაკეთება, რადგან წინასწარ ხედავდეს სამომავლო პერსპექტივას, ეს მაჩვენებლები არა მარტო კომპანიის შიდა მომხმარებლებისთვის არის მნიშვნელოვანი არამედ ივენტორებისთვის, ბანკებისთვის, რადგანაც კომპანიას აფასებენ სამომავლო პერსპექტივაში რამდენად შეუძლია ფულის გამომუშავება და აღებული ვალდებულებების დაფარვა.

საწარმოები გაკოტრების პროგნოზირებას რამდენიმე მეთოდის საშუალებით ითვლიან, სადაც ფასდება უსაფრთხოება, ანუ უსაფრთხო ზონები, ზომიერი ზონები, საშიში ზონები, სადაც გაკოტრების ალბათობა ყველაზე მეტია, ეს სიგნალი იძლევა იმის დაფიქრების საშუალებას რომ დღეს რაღაცა გასაუმჯობესებელია, რათა მომავალში გამოსწორებული იყოს არსებული მდგომარეობა და საწარმოს არ დაემუქროს გაკოტრება. მაჩვენებლები იძლევა საშუალებას მომავალი სამი წლის განმავლობაში შეფასდეს საწარმოს ემუქრება თუ არა გაკოტრების საფრთხე.

ერთ-ერთი გაკოტრების მოდელი, რომელიც ცნობილია ეს არის ალტმანის მოდიფიცირებული მოდელი, აღინიშნება Z და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$Z=0.717 K1+0.847K2+3.107K3+0.42K4+0.995K5^{23}$$

სადაც სამ ზონას გამოყოფს ეს მოდელი: როდესაც

„Z>3 გაკოტრების ნაკლები ალბათობა, Z<1.23 დიდი ალბათობა არსებობს რომ საწარმო გაკოტრდეს,

²³ ჭილაძე იზოლდა . ფინანსური ანალიზი, გამომცემლობა ”მერიდინი“, თბილისი 2018.

1,23<Z<3 ზომიერების დონე, როცა მენეჯმენტის გაფრთხილებაა რომ ფინანსური მდგომარეობა გააუმჯობესონ.

K1- ეს არის საბრუნავი საშუალებების ფარდობა სულ აქტივებთან

K2 - სარეზერვო კაპიტალის (მოგებიდან შექმნილი რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების ან ზარალის ჯამი) ფარდობა აქტივებთან.²⁴

შესაძლებელია გაუნაწილებელი მოგება არ ქონდეს კომპანიებს, ამიტომ უფრო მართებულია რეზერვებთან ერთად მისი დაჯამება.

K3-საოპერაციო მოგების ან ზარალის ფარდობა აქტივებთან

K4- საკუთარი კაპიტალის ფარდობა სულ ვალდებულებებთან(გადაფასების რეზერვების გარეშე)

K5- ამონაგების ფარდობა სულ აქტივებთან

ცხრილი 2.12.

ალტმანის მოდიფიცირებული მოდელის გამოყენება სს „თელასის“ მაგალითზე.

		2017 წელი	2018 წელი
ალტმანი	უსაფრთხო მაჩვენებლად ითვლება Z>3	1.6578	2.0898

როგორც მაჩვენებელი გვეუბნება საწარმო არ არის გაკოტრების ზღვარზე, თუმცა მშვიდად ყოფნის საშუალებაც არ აქვს, გაურკვევლობის მდგომარეობაში იმყოფება. კომპანიებისთვის ბევრი მიზეზია, რაც საბოლოოდ გაკოტრების ნიშნულისკენ მიჰყავს

²⁴ ჭილაძე იზოლდა . ფინანსური ანალიზი, გამომცემლობა ”მერიდინი“, თბილისი 2018.

საქმიანობა ეს მიზეზები შეიძლება უშუალოდ ფინანსური ანაგარიშგებაში არ ისახებოდეს
სმაგარამ საწარმო ამ ფაქტორების ცვლილების გავლენას განიცდიდეს.

- საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სულ არსებობს მუდმივი დანაკარგები, რომელთა შესამცირებლად საწარმო შესაძლებელია კიდევ დამატებით რესურსებს საჭიროებდეს;
- მომველებული ტექნიკური მოწყობილობები, რომლებსაც ასევე დანაკარგების მუდმივ მოცულობას ითხოვს;
- დაფინანსების წყაროების მუდმივი უკმარისობა, როდესაც საწარმოს მოზიდული სახსრები მუდმივად ეზრდება;
- რეინვესტირებული სახსრების არასწორად მიმართვა პრიორიტეტულ დარგებზე;
- დებიტორული დაავალიანების მაღალი წილი;
- ვადაგადაცილებული კრედიტორული დაავალიანებები;
- რომელი მარაგები შეუქმნის პრობლემას მომავალში და რომელი უფრო მეტად განიცდის ლიკვიდურობას;
- წარმოებების დროდადრო შეწყვეტა როგორც შიდა ფაქტორებით, ასევე საწარმოზე არა დამოკიდებული ფაქტორის ზეწოლით;
- კომპანია შესაძლებელია ზედმეტად კარაგად აფასებდეს ახალ პროექტებს და მის მომგებიანობაში დარწმუნებული იყოს;
- მაღალკვალიფიციური კადრების სამსახურიდან დენადობა.

კიდევ უამრავი ფაქტორია რაც იწვევს დანახარჯების ზრდას, მომგებიანობის შემცირებას, აქტივების შემცირებასა და კაპიტალის მაჩვენებელზე სხვა ფაქტორების გავლენას.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაწილი მიზეზები, რის საშუალებასაც სს „თელასის“ ფინანსური ანაგარიშგება იძლევა კომპანიას გააჩნია ბოლო ორი წლის განმავლობაში, მაგალითისთვის, მუდმივად აქვს დანაკარგები თავისი საქმიანობის ფარგლებში, მუდამ უწევს ქსელების შეკეთებისა და სხვა გაუთავალისწინებელი ტექნიკური ხარჯების გაწევა.

დარღვევები სს „თელასის“ ელექტრონულ ქსელებში

2017-2018 წწ.

№.№	მაჩვენებლის დასახელება	2017 წელი	2018 წელი	გადახრა	
				(+/-)	%
1	ინციდენტები	2437	1990	(447)	(18.4)
2	ავარიები	-	-	-	-
3	ელექტროენერჯის არასაკმარისი გაშვება (ათასი კვტ*სთ)	825.7	796.16	(29.54)	(3.6)
4	ეკონომიკური ზარალი ელექტროენერჯის არასაკმარისი გაშვების შედეგად (ათასი ლარი)	57.78	55.7	(2.08)	(3.6)

25

მკვედრად არის შემცირებული ინციდენტების რაოდენობა, ეტაპობრივად კომპანიში ტარდება სარემონტო სამუშაოების და ხდება ტექნიკური საშალებების განახლება, რაც იწვევს მომავალი წლებში არსებული დანახრჯთა მუხლების შემცირებას.

„2020 წელს ენერგეტიკის და წყალმომარაგების სექტორებში მომხმარებლებისთვის მაღალი სტანდარტის მომსახურების შეთავაზების მიზნით კომპანია „თელასი“ ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პროექტს შეუერთდა. პროექტის ფარგლებში დაინერგა ახალი მომსახურება, *303# რომლის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია მობილურ ტელეფონზე აკრიფოს და გაიგოს ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის სექტორებში მისთვის საინტერესო ინფორმაცია.“²⁵ მომსახურებით სარგებლობა უფასოა. პროექტის განსახორციელებლად სს „თელასი“ მიაწვდის მარეგულირებელ კომისიას და მობილური კავშირის ოპერატორებს შესაბამის საინფორმაციო ბაზას.

²⁵ სს „თელასი“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წელი.

²⁶ <http://www.telasi.ge>

„ ახალი მომსახურების მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია: გაიგოს მიმდინარე ბალანსი და მოითხოვოს ელექტრონული ქვითარი; გაიგოს ელექტროენერჯის/სასმელი წყლის/ბუნებრივი გაზის ქსელში გეგმური/არაგეგული წყვეტის შესახებ ინფორმაცია და მომარაგების აღდგენის დრო; დააფიქსიროს მომარაგების წყვეტა, ოპერატიულად რეაგირებისთვის; მოთხოვნის შემთხვევაში, გაუგზავნოს კომუნალურ საწარმოს მრიცხველის ჩვენება; დაარეგისტრიროს მისი მობილურის ნომერი სასურველ აბონენტზე; შეამოწმოს აბონენტზე უკვე რეგისტრირებული ტელეფონის ნომრები და იქვე წაშალოს არასასურველი. გაიგოს საწარმოს მისამართი და ცხელი ხაზის ნომერი. პროექტის მიზანია კომუნალურ მომსახურებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების გამარტივება. პროექტი განხორციელდა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) ინიციატივით, სს „თელასი“-ს, სხვა კომუნალური მომსახურების კომპანიების და მობილური ოპერატორების ერთობლივი ძალისხმევით.“²⁷

ასევე ჩანიშნულია აქციონერთა წლიური საერთო კრება, კრების (აქციონერთა ერთობლივი დასწრება დღის წესრიგის საკითხების განსახილველად) შემდეგი დღის წესრიგით:

1. „2019 წლის სამუშაოს შედეგების წლიური ანგარიშისა და საზოგადოების 2019 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების ფასს -ის მიხედვით დამტკიცების შესახებ.
2. საზოგადოების მოგების, მათ შორის დივიდენდების გადახდის (გამოცხადების), და ეზარალის განაწილების შესახებ 2019 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით.
3. საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების შესახებ 2020 წლისთვის.
4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ.“²⁸

დასკვნა

²⁷ <http://www.telasi.ge>

²⁸ <http://www.telasi.ge/ge/news>

ნაშრომში განხილულია შემოსავლების და ხარჯების არსი, მნიშვნელობა, აღიარებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით, თუ რას გვთავაზობს კონცეპტუალური საფუძვლები, სამეურნეო საქმიანობაში წამორმომილი ამონაგების აღიარების მეთოდები, შეფასებები საანაგირშეგებო პერიოდში. ხარჯების აღიარება და შეფასება პერიოდის მიხედვით. საანალიზო საწარმოს სს „თელასის“ მონაცემებმა ნათლად წარმოაჩინა კომპანიის შემოსავლების წყაროების სტრუქტურა, ასევე დანახარჯების სტრუქტურული სახე. ამ ორი ფაქტორის გავლენა მოგების ჩამოყალიბებაში.

ანალიზი ჩატარდა 2017-2018 წლების ანგარიშგებების ინფორმაციაზე დაყრდნობი. გაკეთდა საწარმოს ბალანზის ჰორიზონტალი და ვერტიკალური ანალიზი, გადახრების მიზეზობრ-შედეგობრივი კავშირი ჩამოყალიბებულია ანალიზის სახით მოხდა აქტივებისა, ვალდებულებების და კაპიტალის სხვადასხვა თანაფარდობით საწარმოს მდგომარეობის შეფასება, ასევე რენტაბელობის მაჩვენებლების გაანაგრიშებით საწარმოს ფინანსური შედეგების განხილვა.

ნებისმიერი საწარმოსთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოს, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება, კონკურენტების გავლენის, სახელმწიფო მხრიდან საკანონმდებლო ცვლილებების, საწარმოს რისკებს და სხვა.

სს „თელასმა“ განახორციელა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი ელექტროქსელური მეურნეობის რემონტის, მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის და მშენებლობის მიზნით. მუშაობის პრიორიტეტია კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა გამანაწილებელი ქსელის მშენებლობის, რეაბილიტაციის და მოდერნიზაციის, ასევე მომხმარებელთა მომსახურება.

2018 წელს კომპანიამ შეინარჩუნა აბონენტების რიცხვის ზრდის ტენდენცია. 2018 წელს სს „თელასის“ აბონენტთა რიცხვი გაიზარდა 28,5 ათასზე მეტით და შეადგინა 632,3 ათასი აბონენტი, რომელთაგან 570 ათასი ფიზიკური პირია, ხოლო 62,3 ათასი - იურიდიული პირი.

ტარიფების ზრდამ, ქსელში ჩართულმა მომხმარებლებმა, ორმა მაჩვენებელმა გაზარდა ამონაგების რაოდენობა. შეინიშნებოდა დასახარჯების შემცირება სხვადასხვა მუხლებში, მომხმარებელთა რაოდენობამ გამოიწვია მოთხოვნა ენერჯიაზე, შესაბამისად შესყიდული ენერჯიაზე დასახარჯების ზრდაც, აქტივების შექმნით ცვეთა ამორტიზაციის მუხლში ხარჯების ზრდა, ასევე აქტივების გასვლათან დაკავშირებული ზარალი.

საანგარიშო წელს სს „თელასის“ ამონაგებმა და სხვა შემოსავლებმა გადაჭარბა დაგეგმილ მაჩვენებელს და შეადგინა 477 მლნ ლარზე მეტი.

სს „თელასის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით, 2018 წელს კომპანიის წმინდა მოგებამ შეადგინა 27,6 მლნ ლარი, რაც 46,4% მეტია დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელზე.

ყოველი საწარმოს ანალიზისთვის მნიშვნელოვანი გაკოტრების მაჩვენებლის განსაზღვრა, რადგან საწარმოები გრძელვადიან პერიოდში განიხილავებ ბაზარზე საკუთარი თავის არსებობას. მნიშვნელოვანია იცოდეს თუ როგორ მართოს რესურსები, წარმოების ასამაღლებლად რა ხელშემშლელი ფაქტორები აქვს, მოზიდულ და საკუთარი დაფინანსები წყაროებს შორის როგორი თანაფარდობაა, მოგების ზრდაში და მაქსიმალური მომგებიანობის მიღწევაში რა ფაქტორები უშლის ხელს. სწორედ ამიტომ, გაკოტრების გამოსათვლელი მეთოდები საწარმოს მენეჯმენტს აძლევს გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას ახლა, რომ საპროგნოზოდ სწორედ განსაზღვრონ საწარმოს მდგომარეობა. ამ მდგომარეობის, ერთ-ერთ მიზეზია საბრუნავი საშუალებების კლება.

საწარმოს შემოსავლებისა და დასახარჯების ანალიზის პროცესში გამოვლენილი სხვაობებზე დაყრდნობით ჩამოვყალიბეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების ჩატარება უზრუნველყოფს ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძის გაზრდას, რაც ქსელის ზრდას იწვევს;

- ელექტროენერჯის გადაცემის დანაკარგების მაქსიმალური კონტროლი და მისი ოპტიმიზაცია;
- მოძველებული ტექნიკური საშუალებების ჩანაცვლება, რაც შეამცირებს მუდმივად არსებობული დანაკარგებს;
- დამატებითი შემოსავლების ზრდის წყაროების გაზრდა, რომელიც ფორმირდება კომპანის სხვა შემოსავლების მუხლში, ელექტრო-სამონტაჟო მომსახურების შეთავაზება, სარემონტო მომსახურების შეთავაზება მომხმარებლებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მმართველობითი აღრიცხვა ACCA F2 ბაფ 2010;
2. საქმიანობის შედეგების მართვა ACCA F5 ბაფ 2010;
3. ფინანსური ანგარიშგება ACCA F7 ბაფ 2010;
4. ფასს 15- „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ 2019;
5. ხარაბაძე ე. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი 2007;
6. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ. ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი. 2017;
7. ხარაბაძე ე. ფინანსური აღრიცხვა ;თბილისი , მერიდიანი,2012;
8. ჭილაძე ი. მმართველობითი აღრიცხვა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016;
9. ჭილაძე ი. დანახარჯთა აღრიცხვის სისტემები, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2009;
10. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი, გამომცემლობა ”მერიდინი“, თბილისი 2018;
11. ჭილაძე ი. ბიზნესის ანალიზის არსი და საგანი. თბილისი 2013;
12. ჭილაძე ი. დანახარჯთა აღრიცხვის სისტემები, გამომცემლობა "მერანი", თბილისი 2009;
13. ჯიქია მ.ფინანსური ანალიზი, თბილისი , მერიდიანი, 2017;
14. ჯიქია მ. ეკონომიკური ანალიზი, თბილისი, მერიდიანი,2018
15. <https://matsne.gov.ge/> - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“;
16. <http://www.rs.ge/> - სსიპ „შემოსავლების სამსახური“;
17. [https:// www.saras.gov.ge](https://www.saras.gov.ge)-ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური;
18. <https://reportal.ge/>-ანგარიშგების პორტალი, სს“ თელასისის“ ფინანსური ანგარიშგება;
19. <http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/studentis-saxelmzgvanelo-bugaltruli-agricxva.pdf>
20. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/martvelobiti_88829.pdf
21. <https://novatori.files.wordpress.com/2011/02/danaxarita20sistemebi20gagrdzeleba.pdf>
22. <http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/ biznesi%20da%20ekonomika/pirveli.htm>

დანართი #1

სს „თელასის“ მიერ გამოიყენა ენერგეტიკული რესურსები:²⁹

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ათასი ლარი)
1	2	3	4	5
1	ხარჯები ნაყიდ ელექტროენერგიაზე	ათასი კვტ*სთ	2 989 071	351 065
1.1	ნაყიდი ელექტროენერგია	ათასი კვტ*სთ	2 989 071	281 739
1.2	გადაცემა და დისპეტჩერიზაცია			69 326
2	ელექტროენერგიის რეალიზაცია და ტრანზიტი, სულ – მათ შორის:	ათასი კვტ*სთ	3 016 375	461 969
2.1	- გაყიდვა	ათასი კვტ*სთ	2 818 937	456 257
2.2	- ტრანზიტი	ათასი კვტ*სთ	197 437	5 712
3	სულ ბენზინი და სატრანსფორმატორო ზეთი;	ათასი ლიტრი	614.43	1,103.01
		კგ	154.24	253.02
3.1	საავტომობილო ბენზინი	ათასი ლიტრი	273.88	491.27
3.1.1	ბენზინი „პრემიუმ-ავანგარდი“ (100006264)	ათასი ლიტრი	273.88	491.27
3.2	დიზელის საწვავი „ევრო“ (100006265)	ათასი ლიტრი	340.55	611.73
3.3	სატრანსფორმატორო ზეთი ВГ (100003063)	კგ	49.70	52.97
3.4	სატრანსფორმატორო ზეთი (100005461)	კგ	61.33	0.42
3.5	სატრანსფორმატორო ზეთი NYTRO 11GX-(100008676)	კგ	3.83	24.32
3.6	სატრანსფორმატორო ზეთი ЛУКОЙЛ ВГ(კგ) (100010421)	კგ	39.37	175.31

²⁹ სს „თელასი“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წელი

დანართი #2

2018 წელს ინვესტიციების დაფინანსების სტრუქტურა

№	მუხლების დასახელება	გეგმა	ფაქტი	გადახრა (+/-)	შესრ. %
1	2	3	4	5	6
1	საკუთარი წყაროები	28 559	25 293	(3 267)	89%
	მათ შორის:				
1.1	ამორტიზაცია	12 862	12 865	3	100%
1.2	სხვა საკუთარი წყაროები	15 697	12 428	(3 269)	79%
2	მოზიდული წყაროები	0	14 669	14 669	-
2.1	კორპორაციული სესხები	0	14 669	14 669	-
	სულ	28 559	39 962	11 402	140%

30

დანართი #3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მაჩვენებლები	2017	2018	ცვლილება	ცვლილება %
	წელი	წელი		
აქტივები				
არასაბრუნავი აქტივები	238687	265407	26720	11
საბრუნავი აქტივები	82195	75279	-6914	-8
სულ აქტივები	320882	340686	19804	6
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი	153383	180637	27254	18
გრძელვადიანი ვალდებულებები				
პროცენტული კრედიტები, სესხები და თამასუქები	37066	34915	-2151	-6
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-
სასამართლო სარჩელების რეზერვები	2116	1012	-1104	-52
ანაზღაურებები შრომითი საქმიანობის დასრულებისას	1546	2094	548	35

³⁰ სს “თელასი” ფინანსური ანგარიშგება 2018 წელი

სახელმწიფო სუბსიდიები	1134	519	-615	-54
საიჯარო ვალდებულებები	1490	1711	221	15
სხვა ვალდებულებები	886	870	-16	-2
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	44238	41121	-3117	-7
მოკლევადიანი ვალდებულებები				
პროცენტული კრედიტები, სესხები და თამასუქები	14340	15414	1074	7
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	77174	69389	-7785	-10
მიღებული ავანსები	6757	6926	169	2
საკონტრაქტო ვალდებულებები	7448	8230	782	10
სახელმწიფო სუბსიდიები	498	480	-18	-4
ანაზღაურებები შრომითი საქმიანობის დასრულებისას	84	95	11	13
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	15438	1602	164	1
სასამართლო სარჩელების რეზერვები	799	2000	1201	150
საიჯარო ვალდებულებები	571	627	56	10
სხვა ვალდებულებები	87	101	17	17
გადასახდელი დივიდენდები	65	64	-1	-2
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	123261	118928	-4333	-4
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	320882	340686	19804	6

31

Faculty of Economics and Business



Teona Poladashvili

The main issues of revenue and expenditure analysis on the example of
JSC "Telasi"

Business Master Program

Module: Accounting and Auditing

The master thesis is completed to earn the academic degree of Master of Business
Administration

Head: Nana Sreseli

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi 2020